საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2 08/13550
24/11/2017

13550 2-08-2-201711241642

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" (შემდგომში-გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი) მოთხოვნათა შესაბამისად, გაცნობებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი(ასაქცევი)-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე, საავტომობილო გვირაბის მიმდებარედ, ავტოტრანსპორტის მოსაბრუნებელი საავტომობილო გზის (სავარაუდო სიგრძით 1კმ) მოწყობის სამუშაოების შესყიდვა პროექტირება-მშენებლობის რეჟიმში გაფორმებული **ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ.**

მოგახსენებთ, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მომარაგებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან მიღებული შესაბამისი თანხმობის (SMP170001668) საფუძველზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტთან 2017 წლის 8 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების ს.რ.N3-17 საფუძველზე, შ.პ.ს. „გზა" აწარმოებს საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი(ასაქცევი)-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე, საავტომობილო გვირაბის მიმდებარედ, ავტოტრანსპორტის მოსაბრუნებელი საავტომობილო გზის (სავარაუდო სიგრძით 1კმ) მოწყობის სამუშაოებს პროექტირება მშენებლობის რეჟიმში და დასრულების ვადა განსაზღვრულია 2017 წლის 30 ნოემბრამდე.

შს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარმა სამმართველომ ტურისტული სეზონის გამო არ გასცა ნებართვა ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე გზის სავალი ნაწილის შეზღუდვაზე, რის გამოც შეუძლებელი შეიქნა საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და შესაბამისად სამუშაოების დროულად დაწყება გარდა ამისა ტერიტორიის გეოლოგიური შესწავლისას დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ეროზიულ ზონას და ამის გამო, სრულყოფილი გეოლოგიური დასკვნის შედგენამ მოითხოვა დაგეგმილზე მეტი დრო. ამასთან საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი ზათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის გამო ჩაქვი-მახინჯაურის გზის მონაკვეთზე საავტომობილო გვირაბის მიმდებარედ შეუძლებელი ხდება მარცხენა მხარეს ასასვლელის მოწყობა შემოვლითი გზის გარეშე. ასევე აღსანიშნავია, რომ საპროექტო გზის ზონაში განთავსებულია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლის გამოსყიდვის აუცილებლობა ზუსტდება საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის პროცესში.

0160, თბილისი, აღ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

104

საზედამხედველო ორგანიზაცია ეთანხმება კონტრაქტორის თხოვნას ვადის გაგრძელების თაობაზე და იმავე მოტივით, არ არის წინააღმდეგი შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა განისაზღვროს 2018 წლის 1 თებერვლამდე.

გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-7[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და ამავე წესის მე-7[1] მუხლის მეორე პუნქტის გათვალისწინებით, მოგმართავთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ სათანადო გადაწყვეტილებაში (SMP170001668) ხელშეკრულების შესრულების ვადის გაზრდასთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის შესახებ თანხმობის მიღების მიზნით, რათა შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს შესაძლებლობა, დადგენილი წესით, ამ ცვლილების შესათანხმებლად მიმართოს, საქართველოს მთავრობას.

პატივისცემით,

ნუგზარ გასვიანი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

110